განკარგულება:**g-27. 272333410**
თარიღი:**30/11/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 60

30 ნოემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **„თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ -** ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **„თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **„თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ -** დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2024 წლის 01 იანვრამდე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი